



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევაგრიოს პონტოელი

ევაგრიოს პონტოელი (Euagrius Ponticus) (დაახლ. 345–400), ბიზანტიელი მწერალი, ღვთისმეტყველი. ბასილი დიდმა (კესარიელმა) მედავითნედ აკურთხა, გრიგოლ ნაზიანზელმა (სხვა ცნობით – გრიგოლ ნოსელმა) – დიაკვნად. 381 მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში, სადაც ორატორობით გაითქვა სახელი. შემდეგ გადავიდა ეგვიპტეში. მის სახელთანაა დაკავშირებული ნიტრიის უდაბნოში სამონასტრო ცხოვრების გაცხოველება. ე. პ-ის შესახებ ცნობებს გვანვდიან პალადიოს ჰელენოპოლელი, სოზომენე და V–XIV სს. ბიზანტ. საეკლ. ისტორიკოსები. მისი შრომები V ს. II ნახ-ში ლათინურად თარგმნა ორიგენეს მიმდევარმა, საეკლესიო ისტორიკოსმა რუფინუსმა. კონსტანტინოპოლის V საეკლ. კრებაზე (553) მწვალებლობისადმი მიდრეკილება დასწამეს და ეკლესიიდან განკვეთეს. ამის მიუხედავად, ეკლესიამ შეინყნარა ე. პ-ის ნაშრომები, სადაც მართებული თეოლ. აზრებია გადმოცემული. ე. პ-ს ეკუთვნის მრავალი პოლემიკური თუ ასკეტური ხასიათის თბულება, რ-ებიც ფართოდ გავრცელდა ქრისტ. სამყაროში. არსებობს მისი ნაშრომების თარგმანები ლათინურ, სირიულ, კოპტურ ენებზე. ქართ. ენაზე შემოგვრჩა ე. პ-ის რამდენიმე ტრაქტატი, რ-თა მთარგმნელად კ. კეკელიძე ექვთიმე ათონელს (მთანმიდელს) მიიჩნევდა. ზოგიერთი ბიზანტ. ავტორის (პალადიოს ჰელენოპოლელი, სოზომენე, ნიკიფორე ქსანთოპულოსი, ნიკიფორე კალისტე) ცნობებზე დაყრდნობით ქართ. სამეცნ. ლიტერატურაში გამოითქვა აზრი (კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი) ე. პ-ის ქართ. წარმომავლობის შესახებ. არსებობს სხვა შეხედულებაც, რ-ის თანახმად ის იყო პონტოს ქალაქ იბორადან, რაც მის ქართველობას (იბერიელობა) ეჭვქვეშ აყენებს.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 7, თბ., 1967.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 6, თბ., 1960; მ ა ხ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს., ვვაგრე პონტოელის ცხოვრება-მოღვაწეობა და მის თხზულებათა ქართული თარგმანი, კრ.: ძველი ქართული მწერლობის მათიანე, I, თბ., 1984.
